

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

# შიდა ქართლი

## ჯავის რაიონის
## არქიტექტურული მემკვიდრეობა

1985-1986 წლების ექსპედიციის მასალები

თბილისი
2004
ილიას ფონდი

УДК 72(879.22)
შ.621

ეძღვნება პედაგოგების - რუსუდან მეფისაშვილისა და ვახტანგ ცინცაძის ნათელ ხსოვნას

Светлой памяти педагогов Русудан Меписашвили и Вахтанга Цинцадзе

რედაქტორ-გამომცემელი - ხელოვნებათმცოდნე ცირა დადიანიძე
Редактор - искусствовед **Цира Дадианидзе**

რეცენზენტები:
გივი გაფრინდაშვილი - არქიტექტურის ისტორიკოსი, სპელეისტი, პროფესორი
პარმენ ზაქარაია - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

Рецензенты:
**Гиви Гаприндашвили** - историк архитектуры, спелеист, профессор
**Пармен Закарая** - член-кореспондент Академии наук

გენ. სპონსორი - გია ოქრუაშვილი
Ген. спонсор - **Гиа Окруашвили**

ISBN 99928-0-931-0 (ოთხივე ტომის)
ISBN 99940-0-207-4 (მესამე ტომის)

Департамент охраны памятников Грузии

# Шида Картли

## Архитектурное наследие Джавского района

Материалы экспедиции 1985-1986 г

Тбилиси 2004

Фонд Ильи

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ძეგლთა დაცვის სამმართველოს თანამშრომლები: ხელოვნებათმცოდნეები - ცირა დადიანიძე, აკაკი თოფურია; არქიტექტორები - ლადო ვარდოსანიძე, ლადო გიორგაძე, ნინო ბაგრატიონი; ისტორიკოსები - ბაადურ კუპრეიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და მარინე აბაშიძე.

ჯგუფის მიერ ჯავის რაიონში დაფიქსირდა და აღიწერა მრავალი ძეგლი. აღმოჩნდა ბევრი ისეთი არქიტექტურული ნიმუშიც,რომელიც მანამდე აღრიცხული არ ყოფილა.

*В работе экспедиции принимали участие сотрудники Управления охраны памятников: Искусствоведы - Цира Дадианидзе, Акаки Топурия; архитекторы - Владимир Вардосанидзе, Владимир Гиоргадзе, Нино Багратиони; историки: - Баадур Купреишвили (руководитель группы), Марине Абашидзе и Зураб Тотибадзе. Группой был обнаружен и описан не один памятник в Дэкавском районе. Среди них оказались и такие образцы зодчества, которые ранее не были фиксированы.*

კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხალხებს შორის თანაცხოვრებისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა კი, ასეთი თანაარსებობის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ, დადგა დრო შევურიგდეთ ისტორიას, გავიაზროთ წარსული, შევკრათ დროთა შორის, ჩვენ ორ მოძმე ხალხს - ქართველებსა და ოსებს შორის გაწყვეტილი ჯაჭვი. მხოლოდ მაშინ ვიგრძნობთ თავს ხალხად, რომელსაც გააჩნია საერთო სამშობლო.

*Культурное наследие в значительной степени обусловливает атмосферу сосуществования и взаимного доверия между народами. А территориальную целостность страны невозможно представить без такого сосуществивания. Поэтому, настало время, когда нам следует примириться с историей, осмыслить прошлое, наладить разорванную цепь времён между двумя братскими народами - грузинским и осетинским.*

# წინათქმა

დაკვირვებული კაცის თვალი ადვილად შენიშნავს, რომ ჩვენთვის ერთგვარ მისაბაძ ნიმუშად იქცა დასავლური ცხოვრების მრავალი წესი. თვალის გახელასაც ვერ მოასწრებ ადამიანი, იგი ისე სწრაფად და დაუბრკოლებლად იკიდებს ფეხს ყოველდღიურ ყოფაში.

ამერიკაც ამერიკაა და ევროპაც ევროპა თავისი ხიბლით, სიდიადითა და სიძლიერით, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მათ საზოგადოებას საერთოდ არ აწუხებს არანაირი პრობლემა. ამიტომ, ბრმად ნუ მივბაძავთ დასავლური ცხოვრების წესს, ნუ ავიღებთ მისი "სალაროდან" იაფფასიანს, ჩვენი ტრადიციისა თუ ფსიქოლოგიისათვის მიუღებელს, არამედ ავიღოთ რაციონალური, კარგი, რაც უხვადაა ამ ქვეყნებში და, რითაც ღირსეულად ამაყობენ ამ სახელმწიფოთა მოქალაქეები. ერთი სიტყვით, მე ის მაწუხებს, რომ რაც კარგი გვაქვს ქართველებს და ღვთის წყალობით, ასეთი არც თუ ცოტაა, შევინარჩუნოთ და არ გავცვალოთ ბევრად უფრო იაფფასიანზე.

გამორჩეული და ბევრისათვის გაოცებისა და აღფრთოვანების საგანი კი, ჩვენი ეროვნული კულტურაა, რომელიც „ვესტერნიზაციას" შეჭიდებული, იდენტურობის შენარჩუნების მცდელობით გამოირჩევა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურა მკაცრად ეროვნულია და ეს მისი გამორჩეული თვისებაა. ანუ აქ, ქართველთა ქვეყანაში ეროვნულობა, რომელიც ასევე ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთი მთავარი საფეხურია, სწორედ კულტურაში, კულტურულ მემკვიდრეობაში ვლინდება.

სწორედ ეროვნული ნიშნით გამოირჩევა ჯავის რაიონის კულტურული მემკვიდრეობა, მისი არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ადამიანური სულის ორგანიზაციის ყველაზე მაღალი და ამაღლებული ფორმებია.

წიგნის მესამე ნაწილის მიზანიც მკითხველისათვის ჯავის რაიონის არქიტექტურის ძეგლების დოკუმენტური სახით გაცნობა-მიწოდებაა (პირველი - ორიც ამ წესით მიეწოდა მკითხველს). არადა, გარდა ვიზუალურისა, კულტურის ძეგლების ამ სახით წარმოჩენის შემთხვევაშიც ნათლად იკვეთება ჩვენი წინაპრების სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობები, მათი უკვდავი ღირებულებებისადმი მუდმივი ლტოლვა, რაც მთლიანობაში, ჩვენი ერის მაღალ კულტურაზე და სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე მიანიშნებს.

კიდევ რა შეიძლება ითქვას? სათქმელი ნამდვილად ბევრია. თუნდაც ის, თუ საიდან წამოვიდა ოთხტომეულის გამოცემის იდეა. გულწრფელად მოგახსენებთ, რომ მხოლოდ დიდი თხოვნის ფასად მივიღე ქალბატონ ცირა დადიანიძის, აწ გარდაცვლილი სახელოვანი მეცნიერის - რუსუდან მეფისაშვილის ღირსეული მოწაფის თანხმობა იმაზე, რათა მის საქმიანობაზეც მეთქვა რამდენიმე სიტყვა.

სწორედ ქალბატონი ცირა დადიანიძე, შესანიშნავი პიროვნება, ხელოვნებათმცოდნე გახლავთ ამ დიდებული კრებულის შედგენა-გამოცემის იდეის და, მთლიანობაში, პრაქტიკული განხორციელების მთავარი „დამნაშავე“.

სწორედ მისმა, როგორც რედაქტორ-გამომცემლის დაუღალავმა შრომამ განაპირობა წამოწყებული საქმის წარმატებით დასრულება. ამის ნათელი დასტური კი, მკითხველი საზოგადოების მხრიდან წიგნის ყოველ ახალ ტომზე დიდი მოთხოვნილებაა.

ერთ-ერთი პოლიტიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატის ავტორის - უილიამ გოდვინის სიტყვებია: „ადამიანი წარმატების ნაყოფია“...

ქალბატონო ცირა, თუ ამ სიტყვების პერიფრაზირებას მოვახდენთ, მაშინ, ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ თქვენს მიერ საფუძველჩაყრილი საქმე და, მთლიანობაში, მთელი თქვენი საქმიანობა უდავოდ წარმატებულია, მას ღირსებისა და სიკეთის დაღი აზის. მადლობა თქვენ ასეთი მამულიშვილური საქმის წამოწყებისა და ღირსეულად დაგვირგვინებისათვის.

**პაატა ბერბაია**

## დაბა ჯავა

# ეკლესია დედაღვთისა

### განვითარებული შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესიიდან ნანგრევიღა შემორჩა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია შირიმის და რიყის ქვა. ეკლესიის სიგრძე დაახლოებით 8 მ, სიგანე 5 მ. ძეგლის აზომვა ვერ ხერხდება.

## Даба Джава

# ЦЕРКОВЬ ДЕДАГВТИСА

### Развитое средневековье

От зальной церкви сохранились лишь развалины.

В качестве строительного материала были использованы рваный камень и квадры ширими. Обмер памятника не возможен.



*აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი.*
*Фрагмент восточного фасада*

## დაბა ჯავა

# ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები



ეკლესია. დასავლეთი კედლის ფრაგმენტი.
*Фрагмент западной стены*

ძეგლი ნაშენია ფლეთილი ქვით. ჩანს მხოლოდ დასავლეთი კედლის წყობის ფრაგმენტი. ძირითადი ნაწილი დაფარულია მიწითა და მცენარეებით. აზომვა არ ხერხდება.

## Даба Джава

# ЦЕРКОВЬ

### Развитое средневековье

Церковь лежит в развалинах. Уцелел лишь фрагмент западной стены. Возведена была церковь из рваного камня. Без особой расчистки выявить план невозможно.

## დაბა ჯავა, სასაფლაოზე

# ეკლესია

### XIX-XX სს.

დიდი ზომის დარბაზული, შვერილაბსიდიანი ეკლესია ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით, აგრეთვე ქართული აგურით. კედლებზე შიგნიდანაც და გარედანაც შეიმჩნევა ნალესობა. საკურთხეველში სამი სარკმელი და ორი დიდი ნიშია. გრძივ კედლებში ფართე, მაღალი სარკმელია გაჭრილი. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავ-

ლეთიდანაა. დასავლეთ კედელს ეკვრის კარიბჭე-სამრეკლო; ფასადთა დეკორატიულობა შექმნილია პილასტრებითა და სარკმლის სადა თავსართებით. ნაგებობის აღმოსავლეთი ფასადის გარშემო შეინიშნება კუთხოვანი ფორმის საძირკვლის ნაშთი. სავარაუდოა ძველი ეკლესიის არსებობა.



*ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока*



*დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент западного фасада*



ეკლესია. გეგმა. *План*



*ინტერიერი. საკურთხევლის ფრაგმენტი.*
*Интерьер, фрагмент алтаря*



*ეკლესია. სამრეკლოს ფრაგმენტი.*
*Фрагмент колокольни*

## Даба Джава

## ЦЕРКОВЬ

### XIX-XX вв.

Большая, зальная церковь с выступающей абсидой, возведена из рваного камня, булыги и кирпича. Вокруг церкви старое кладбище.

Здание как снаружии, так и внутри было оштукатурено. В абсиде три высоких окна и две большие ниши.

В продольных стенах такие же окна. Вход устроен с юга и запада. К западной стене снаружи примыкает двухэтажная колокольня.

Фасады акцентированы полупилястрами и оконными навершиями простого профиля.

Около восточного фасада частычно можно проследить остатки фундамента. Вероятно, фундамент более старой церкви.

# სოფ. ბრითათა მიდამოები, ნასოფლარი ზემო ბრითათა

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

ოთხკუთხა კოშკი ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით. დასავლეთით, მეორე სართულის დონეზე გაჭრილია კარი. დასავლეთი და სამხრეთი კედლები შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. კოშკში შესვლა და მისი აზომვა ვერ მოხერხდა.



*საერთო ხედი. Общий вид*

# с. Бритата, окрестности сельбища земо Бритата

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Четырёхугольная башня возведена из рваного камня. На втором этаже с запада имеется дверь.

От башни уцелели лишь западная и южная стены на уровне четвёртого этажа. Остальное лежит в руинах.

# სოფ. ბრითათა

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვითა და ფიქალით. შენობა ნაწილობრივ შემორჩა სამი სართულის დონეზე. თაღოვანი კარი გაჭრილია მეორე სართულის დასავლეთ კედელში.




*კოშკის II სართულის გეგმა. План второго этажа*



*ჩრდილოეთი ფასადი. ფრაგმენტი.*
*Фрагмент северного фасада*

ჩრდილოეთ კედელში ორი სათოფურია. აღმოსავლეთი კედელი მთლიანად მონგრეულია. ჩრდილოეთი – ფრაგმენტულად შემორჩა.

## с.Бритата

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Башня возведена из рваного камня и сланца. Стены башни частично уцелели на высоте третьего этажа. На втором этаже западной стены прорезана дверь. В северней стене две амбразуры. Восточная стена лежит в руинах, северная сохранилась фрагментарно.



*ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.*
*Вид с северо-востока*

## სოფ. გულიანთა

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები ნაწილობრივ დანგრეულია. ძეგლი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. თაღოვანი კარი გაჭრილია დასავლეთ კედელში.

## с.Гулианта

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Башня повреждена. Восточная и северная стены частично разрушены, оставшиеся стены частично уцелели на высоте третьего этажа. Дверь прорезана в западной стене.

Строительный материал - булыга и рваный камень.




*კოშკის გეგმა. План*

## სოფ. გულიანთა

## ნაეკლესიარი ჯვარი

### შუა საუკუნეები

ძველი ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ ტუფისა და რიყის რამდენიმე ქვა.

გეგმა არ იკითხება.

## с.Гулианта

## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ ДЖВАРИ

### Средневековье

От церкви уцелела лишь груда камней, среди них можно различить булыгу и ширими.

План церкви проследить не удаётся.

## სოფ. გულიანთა

# ნაეკლესიარი

### X-XI სს.



*ეკლესიის ქვები.*
***Фрагменты орнаментированных камней***

ძეგლი სოფელ გულიანთადან (მიდამოები) 2-3 კმ-ზე ჩრდილოეთით, ტყიან ბორცვზე მდებარეობს. ეკლესია აუფეთქებიათ და ამჟამად დაფარულია ხშირი მცენარეულობით. აზომვა არ ხერხდება. გადარჩენილია რამდენიმე ქვა რელიეფური ორნამენტით.

## с.Гулианта, окрестности

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### X-XI вв.

Памятник находится, в лесу в 2-3 км. к северу от села Гулианта. Церковь была взорвана, место теперь заросло растительностью. План проследить невозможно. Кое-где лежат фрагменты орнаментированных камней.




*ეკლესიის გეგმა. План*

## სოფ. ედისა

# ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა სახისა და ზომის ქვით. გამოყენებულია ტუფი და შირიმი.

გეგმით ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას აღმოსავლეთით შვერილი, წახნაგოვანი



*ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока*

აბსიდი აქვს. ეკლესიის შიდა გეგმა გარე მასებშია განმეორებული. რვაწახნაგა გუმბათის ყელი ჯვრის მკლავების გადამკვეთ კუთხეებს ეყრდნობოდა.

ინტერიერი განათებულია ჯვრის ოთხივე მკლავში და გუმბათის ოთხ წახნაგში დატანებული სარკმლებით.

ფასადები სადაა, კედლების მძიმე ფორმებს არავითარი დეკორატიული აქცენტები არ გააჩნია.

ეკლესიას სამივე მკლავში დატანებული აქვს ფართო კარი. ჩრდილოეთით და სამხრეთით კარს ორივე მხრიდან კედლის ნახევარპილასტრი აუყვება. ძეგლი დაზიანებულია, ჩამოქცეულია გუმბათის გადახურვა. კედლებზე და სახურავზე ამოსულია ხე-მცენარეები.



*ინტერიერი. გუმბათის ფრაგმენტი.*
*Интерьер, фрагмент купола*



*ხედი სამხრეთიდან. Вид с юга*

## с.Эдиса

# ЦЕРКОВЬ

### Позднее средневековье

Церковь возведена из рваного камня, а также квадрами туфа и ширими.

Крестово-купольная церковь с востока имеет выступающую, граненую абсиду и граненый барабан купола с четырьмя окнами.

Кроме окон купола, интерьер церкви освещался также четырмя окнами и дверьми прорезаными в рукавах креста.

Памятник является типичным купольным сооружением для данного района.

## სოფ. ედისა

# კოშკი ქობეთი

### ადრე შუა საუკუნეები




*გეგმა. План*

ზურგიანი კოშკი ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით. შემორჩენილია ორი სართულის დონე. აღმოსავლეთი კედელი ჩამონგრეულია. არქიტრავული კარი გაჭრილია მეორე სართულის დასავლეთ კედელში.

კოშკი შიგნიდან ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.

с.Эдиса

# БАШНЯ КОБЕТИ

**Раннее средневековье**

Башня с т.н. "круглой спиной "возведена рваным камнем.

Башня частично уцелела на уровне второго этажа. На втором этаже западной стены прорезана архитравная дверь. Восточная стена лежит в развалинах.



*დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი.*
*Фрагмент западного фасада*

სოფ. ედისა

# ეკლესია «ტბაუაცილა»

XX ს.

გეგმით ოთხკუთხა დარბაზული, უაბსიდო ეკლესია ნაგებია მცირე ზომის ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. დასავლეთით აქვს შესასვლელი კარი, აღმოსავლეთით გაჭრილია სარკმელი; ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში თითო ნიშია. ეკლესია გადახურულია შიფერით.

სავარაუდოა, რომ ძეგლი ძველი ეკლესიის ადგილზეა აგებული.



*ხედი დასავლეთიდან. Вид с запада*




გეგმა. План

## с.Эдиса

# ЦЕРКОВЬ "ТБАУЦИЛА"

### XX в.

Зальная церковь возведена из мелкого, рваного камня. В плане четырёхугольное здание с востока завершено прямоугольным алтарём, с окном в центре. По обеим сторонам окна расположены ниши. Дверь прорезана в западной стене.

Возможно церковь возведена на месте древней церкви.

## სოფ. ვანელი

# ეკლესია ჯვარი

### გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი განეკუთვნება ჯავის რაიონისათვის დამახასიათებელ გუმბათოვან ეკლესიათა რიგს. აღმოსავლეთი მკლავი საგრძნობლად წაგრძელებულია, მასში მოთავსებულია საკურთხეველი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. რვაწახნაგა გუმბათის ყელში გაჭრილია ოთხი სარკმელი. საკურთხევლის სატრიუმ-




გეგმა. План

ფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. აბსიდა შვერილწახნაგოვანია. დასავლეთიდან კარს მიდგმული აქვს კარიბჭე. გრძივ კედლებზე, კარის ორსავე მხარეს მიდგმულია ნახევარსვეტები. 1983 წელს ძეგლზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. კედლები შიგნიდან და გარედან გალესილია.

### с.Ванели

## ЦЕРКОВЬ ДЖВАРИ

### Позднее средневековье

Церковь - типичное купольное сооружение, характерное для Джавского региона, с граненой, выступающей в плане абсидой.

В 1983 году местное население отремонтировало памятник. Стены церкви, как снаружи так и внутри были оштукатурены.



*ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока*

## სოფ. ვანელი, ნასოფლარი მიდართა

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები



*საერთო ხედი. Общий вид*

კოშკი ნაგებია ფიქალითა და ფლეთილი ქვით. შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთი კედელი ორი სართულის დონეზე, დანარჩენი კედლები დანგრეულია.

კოშკი შიგნიდან ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.

## с.Ванели, сельбище Мидарта

# БАШНЯ

### Позднее средневековье

Башня возведена из рваного камня и сланца. От башни уцелела южная стена высотой в два этажа. Остальное лежит в развалинах.

Башня внутри заполнена землёй и камнем.

## სოფ. ზემო კოშკა

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები




*მეორე სართულის გეგმა. План второго этажа*

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ნაგებია ფიქალითა და ფლეთილი ქვით. ჩრდილოეთით მეორე სართულზე გაჭრილია კარი. სამხრეთ-დასავლეთი კუთხე მონგრეულია. ნაგებობა შემორჩენილია

ოთხი სართულის დონეზე.

კოშკი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.

### с.Земо Кошка

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Четырехугольная башня возведена из сланца и рваного камня. На втором этаже северной стены прорезана дверь. Юго-западный угол стены обрушен. Башня уцелела до четвертого этажа.



*ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი. Фрагмент северной стены*



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*

## სოფ. ზემო კოშკა

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები



საერთო ხედი. Общий вид

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ნაგებია ფიქალითა და ფლეთილი ქვით. შემორჩენილია ოთხი სართულის დონე. სამხრეთისა და დასავლეთის კედლები ჩამოქცეულია.

კოშკში ყრია მიწა და ქვა-ღორღი.

## с.Земо Кошка

# БАШНЯ

### Позднее средневековье




*გეგმა. План*

Возведена башня из сланца и рваного камня. Памятник частично уцелел на уровне четвёртого этажа. Повреждены южная и западная стены.

# სოფ. ზემო კორსევი

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. წყობა შერეულია. აღმოსავლეთი კედელი მთლიანად ჩაქცეულია, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კი ნაწილობრივ. დასავლეთი კედელი სამი სართულის დონეზეა შემორჩენილი. ამავე კედელში მეორე სართულზე დატანებულია კარი. კოშკის ჩრდილოაღმოსავლეთ მხარეს იკვეთება გალავნის კვალი.



*საერთო ხედი. Общий вид*

# с.Земо Корсеви

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Возведена башня из рваного камня, кладка смешанная. Восточная стена, а так же западная и частично северная стены обрушены . Западная уцелела на уровне третьего этажа. На втором этаже западной стены прорезана дверь. К северо-востоку от башни, сохранились фрагменты ограды.




*მეორე სართულის გეგმა. План второго этажа*

## სოფ. ზემო კორსევი

# ჯვარის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია, შედარებით გვიანდელი, სამხრეთი მინაშენით, აგებულია შირიმით, შავი და წითელი ტუფით; გამოყენებულია ფლეთილი ქვაც. კედლების წყობა შერეულია, რაც გვიანდელი შეკეთება-რემონტის კვალს ატარებს.

სწორკუთხა გეგმის ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული ფორმის აბსიდით. მასში სარკმლის ორსავე მხარეს თითო ნიშაა მოთავსებული. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა.

მინაშენი მთლიანად დანგრეულია. შეინიშნება მხოლოდ აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლის ფრაგმენტები.

ეკლესიის გარშემო მიწის დონე აწეულია.

## с.Земо Корсеви

# ЦЕРКОВЬ "ДЖВАРИ"

### Позднее средневековье

Зальная церковь средних размеров, с юга имеет позднюю пристройку. Возведено здание из камня ширими, туфа чёрного и красного цвета. В



*სამხრეთი ფასადი. Южный фасад*

смешанной кладке также использован рваный камень.

Прямоугольная в плане церковь с востока имеет абсиду с окном в центре. Под окном стоит престол.

Пристройка полностью разрушена. Фрагментарно сохранились лишь восточная и западная стены.




*გეგმა. План*

## სოფ. ზემო როკა

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ნაგებია ფიქალითა და ფლეთილი ქვით. შემორჩა ოთხი სართული. კარი გაჭრილია დასავლეთით მეორე სართულის დონეზე.

კოშკი შიგნიდან ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*




*გეგმა. План*

## с.Земо Рока

## БАШНЯ

**Позднее средневековье**

Башня возведена из рваного камня и сланца. Стены частично уцелели на высоте четвёртого этажа. Дверь имеется на втором этаже западной стены.

Башня внутри заполнена землёй и камнем.

## სოფ. ზემო როკა

## სასახლე

გვიანი შუა საუკუნეები



*საერთო ხედი. Общий вид*

სასახლე ნაგებია ფიქალითა და ფლეთილი ქვით. გარეთა კედლები მხოლოდ სამი სართულის დონეზეა შემორჩენილი. წყობაში დატანებულია სარკმლები და სათოფურები. კარი გაჭრილია აღმოსავლეთით.

## с.Земо Рока

## ДВОРЕЦ

**Позднее средневековье**

От дворца частично уцелели лишь наружные стены высотой в три этажа. В кладке стен прорезаны окна и бойницы. Дверь устроена в восточной стене.




*გეგმა. План*

## სოფ. ზემო როკა

## კოშკი I

გვიანი შუა საუკუნეები

ფლეთილი ქვით ნაგები კოშკი ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები ორი სართულის დონეზე.

კოშკი შიგნიდან ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.



*საერთო ხედი. Общий вид*




*გეგმა. План*

## с.Земо Рока

## БАШНЯ I

### Позднее средневековье

Башня сильно пострадала от времени. Уцелели южная и восточная стены высотой в два этажа. Возведён памятник рваным камнем.

## სოფ. ზემო როკა

## კოშკი II

### გვიანი შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ნაგებია ფიქალითა და ფლეთილი ქვით. იგი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. არქიტრავული კარი სამხრეთითაა.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Земо Рока

## БАШНЯ II

### Позднее средневековье

Четырёхугольная башня возведена из сланца и рваного камня. Сооружение уцелело на уровне второго этажа. В южной стене устроена архитравная дверь.

## სოფ. ზემო როკა

## კოშკი III

### გვიანი შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ფლეთილი ქვითაა ნაგები. შემორჩენილია ექვსივე სართული. პირველი სართული ამოვსებულია ქვით. მეორე სართულის ჩრდილოეთ კედელში არქიტრავული შესასვლელია გაჭრილი. ყველა კედელში დატანებულია სათოფურები.



*ჩრდილოეთი ფასადის ფრაგმენტი.*
*Фрагмент северного фасада*




*II სართულის გეგმა. План второго этажа*

## с.Земо Рока

## БАШНЯ III

### Позднее средневековье

Шестиэтажная, в плане четырёхугольная, башня возведена из рваного камня. На втором этаже северной стены устроен вход. Во всех стенах прорезаны амбразуры.

## სოფ. ზემო როკა

## კოშკი IV

### გვიანი შუა საუკუნეები

ფლეთილი ქვით ნაშენი კოშკი შემორჩენილია ექვსი სართულის დონეზე. თაღოვანი შესასვლელი მეორე სართულის ჩრდილოეთ კედე-



*საერთო ხედი. Общий вид*

ლშია გაჭრილი. დასავლეთ და სამხრეთ კედლებში დატანებულია თითო არქიტრავული სათოფური. პირველი სართული ამოვსებულია ქვით.

## с.Земо Рока

## БАШНЯ IV

### Позднее средневековье

Шестиэтажная башня возведена рваным камнем. Арочный вход устроен на втором этаже северной стены. В западной и южной стенах прорезано по одной амбразуре.




*II სართულის გეგმა. План второго этажа*

## სოფ. ზემო როკა

## კოშკი V

### გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი გეგმით ოთხკუთხაა. ნაგებია კარგად დამუშავებული ფლეთილი ქვით. ნაგებობის მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია სამხრეთი კედელი ორი სართულის დონეზე.



*სამხრეთი ფასადი. Южный фасад*




*სქემატური გეგმა. Схематический план*

# с.Земо Рока

## БАШНЯ V

### Позднее средневековье

Четырёхугольная башня возведена из хорошо обработанного рваного камня. Большая часть стен лежит в руинах. Уцелела лишь южная стена на уровне второго этажа.

# სოფ. ზღუბირი

## ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი ნაგებია ფლეთილი, ვულკანური, ფიქალისა და შირიმის ქვით. ტაძარი ანალოგიურია ჯავის რაიონში არსებული გუმბათოვანი ტაძრებისა. ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით მიდგმულია კარიბჭეები. აბსიდა შვერილწახნაგოვანია. გუმბათის ყელის რვავე წახნაგზე გაჭრილია სარკმელი. ძეგლის შიდა სივრცის აზომვა და აღწერა ვერ მოხერხდა.




*სქემატური გეგმა. Схематичный план*

## с.Згубири

# ЦЕРКОВЬ

### Позднее средневековье

Памятник возведён из рваного камня и булыги, а также квадрами ширими.

Здание является типичным для Джавского региона купольным сооружением.

Церковь с трёх сторон имеет порталы. Абсида - гранёная, выступающая с общего прямоугольного плана. На восьмигранном барабане купола прорезано восемь окон.



*ხედი აღმოსავლეთიდან. Вид с востока*



*ხედი სამხრეთიდან. Вид с юга*

# სოფ. თამაგინი

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

ფლეთილი ქვით ნაგები კოშკი დანგრეულია. შემორჩენილია სამხრეთი კედლის ფრაგმენტი ოთხი სართულის დონეზე.

ძეგლის გარშემო მიწის დონე აწეულია, ყრია ჩამონაშალი ქვა.




*მეორე სართულის გეგმა. ფრაგმენტი.*
***План второго этажа. Фрагмент***

# с.Тамагини

## БАШНЯ

### Позднее средневековье

От башни уцелел лишь фрагмент южной стены на уровне четвёртого этажа. Остальные части строения лежат в развалинах.




*გეგმის ფრაგმენტი. Фрагмент плана*

# სოფ. თანდელთა

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი დაზიანებულია. გეგმა არ იკითხება. ჩრდილოეთი კედე-

ლი ნაწილობრივაა შემორჩენილი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კი ფრაგმენტულად. სამხრეთი კედელი ჩამოქცეულია. კოშკი სამი სართულის დონეზეა შემორჩენილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია დიდი ზომის ფლეთილი ქვა.



*ჩრდილო-დასავლეთი ფასადი.*
***Северо-западный фасад***

### с.Танделта

## БАШНЯ

**Позднее средневековье**

Башня серьезно повреждена. План проследить не удаётся. Частично уцелела северная стена, восточная и западная стены - фрагментарно.

Южная стена лежит в развалинах. Оставшиеся стены сохранились на уровне трёх этажей. Строительный материал - рваный камень.

### სოფ. თედელეთი

## ვაკიჯვრის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთი კედლის მცირე ფრაგმენტი. ნანგრევები დაფარულია მიწით და მცენარეებით.

გეგმის დადგენა და დათარიღება შეუძლებელია.



*სამხრეთი კედლის ფრაგმენტი.*
*Фрагмент южной стены*

### с.Теделети

## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ ВАКИДЖВАРИ

**Средневековье**

Церковь лежит в развалинах заросших растительностью. Уцелел лишь фрагмент южной стены.

Без особой расчистки датировку и план выявить не удаётся.

### სოფ. თედელეთი

## ეკლესია

შუა საუკუნეები

ნაგებობის მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია. აღმოსავლეთი კედელი თითქმის აღარ არსებობს. შემორჩენილია ჩრდილოეთისა და სამხრეთი კედლების მცირე ფრაგმენტები. ეკლესია ნაშენია ფლეთილი ქვით.




*ეკლესიის გეგმა. План церкви*

### с.Теделети

## ЦЕРКОВЬ

**Средневековье**

Большая часть церкви лежит в развалинах. Сохранились лишь фрагменты северной и южной стен. Возведена церковь из рваного камня .

## სოფ. თედელეთი

# ეკლესია ღვთისმშობელი

### შუა საუკუნეები




*გეგმა. План*

ეკლესიის გეგმა იკითხება ფრაგმენტულად. საკურთხეველი ერთი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ძეგლი ნაგებია კარგად დამუშავებელი შირიმის ქვით. შეინიშნება დუღაბის კვალი.

## с.Теделти

# ЦЕРКОВЬ ГВТИСМШОБЕЛИ

### Средневековье

План церкви прослеживается фрагментарно. Алтарная стена сохранилась на уровне 1м.

Строительный материал - ширими.

## სოფ. თლია

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები




*მეორე სართულის გეგმა. План второго этажа*

კოშკი გეგმით კვადრატს უახლოვდება. შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. პირველი სართული ამოვსებულია ქვით. მეორე სა-

რთულის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია თაღოვანი შესასვლელი. ნაგებია დიდი ზომის ყორე ქვით.



*ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока*



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Тлиа
## БАШНЯ

**Позднее средневековье**

Квадратная в плане башня частично уцелела на уровне четвёртого этажа. Первый этаж заполнен камнями. На втором этаже восточной стены имеется арочная дверь.

Башня возведена из булыги.



*გეგმა. План*

## სოფ. თლია
## წმ. გიორგის ეკლესია

XIX ს.

ძეგლი განეკუთვნება ჯავის რაიონისათვის დამახასიათებელ ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიათა რიგს. ნაგებია ძირითად-

ად ფლეთილი ქვით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია ფიქალი და შირიმი. აბსიდა შვერილწახნაგოვანია. დასავლეთით და ჩრდილოეთით შემორჩა კარიბჭის საბრჯენები. გუმბათის რვაწახნაგა ყელში ოთხი სარკმელია დატანებული. კარი გაჭრილია სამხრეთიდანაც. ძეგლზე ამოსულია მცენარეები.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Тлиа

## ЦЕРКОВЬ СВ.ГЕОРГИЯ

### XIX в.

Памятник является типичным для Джавского района купольным сооружением.

Строительным материалом является рваный камень, сланец и ширими.



*გუმბათის ყელის ფრაგმენტი. Фрагмент купола*

 სოფ. კაბუზთა

# კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები



*საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.*
***Общий вид с востока***

ხუთი სართულის დონეზე შემორჩენილი, გეგმით ოთხკუთხა კოშკი ფლეთილი ქვითაა ნაგები. პირველი სართული ამოვსებულია ჩამონაშალი მიწითა და ქვით. აღმოსავლეთ კედელში მეორე სართულის დონეზე გაჭრილია შეისრულთაღოვანი კარი. შემორჩენილია რამდენიმე სათოფური. კოშკის გარშემო იკითხება ნაგებობათა კვალი.




*კოშკის გეგმა.* ***План башни***

**с.Кабузта**

**БАШНЯ**

**Позднее средневековье**

Четырёхугольная в плане башня сохранилась на уровне пятого этажа. Возведено здание из рваного камня.

Первый этаж башни заполнен землей и камнем. В восточной стене на втором этаже прорезана дверь со стрельчатой аркой. В стенах уцелело несколько бойниц.

Вокруг башни можно проследить фрагменты зданий.

## სოფ. კვაისი

# ეკლესიის ნანგრევი, კვაისის ჯვარი

### X საუკუნე



ეკლესიის გეგმა. *План*

ძეგლი მდებარეობს ტყით დაბურულ მაღალ მთაზე, სოფ. კვაისის მახლობლად.

დიდი ეკლესიის ფრაგმენტები აგებული ყოფილა წითელი ტუფით. შემორჩენილია ქვის ფილები ორნამენტებით, სიუჟეტური რელიეფებითა და ასომთავრული წარწერებით. რელიეფურ ფილაზე – "გაქცევა ეგვიპტეში" – მარცხენა მხარეს ამოტვიფრულია ასომთავრული წარწერა: "არსენს და მშობელთა მისთა შეუნდვეს ღმერთმა".

ფასადების მორთვას სკულპტურული კომპოზიციებით, უძველესი ტრადიცია აქვს. ამ პერიოდის ოსტატები მარტივი ფორმების გამო-



*კარის არქიტრავის რელიეფი. Рельеф архитрава двери*



*სარკმლის სათაურის ფრაგმენტი. Фрагмент оконного навершия*

ყენებით აღწევდნენ უდიდეს გამომსახველობას. ქვების მნიშვნელოვანი ნაწილი წაღებულია კვაისის მაღაროს სასადილოს ასაშენებლად, რომელიც ამჟამად დანგრეულია.

## с.Кваиси

## ЦЕРКОВЬ КВАИСИС-ДЖВАРИ

### X в.

Памятник находится на поросшей густым лесом горе, недалеко от поселка Кваиси. От большой церкви, лежащей в руинах, уцелели небольшие фрагменты. В качестве строительного материала был исползован камень крупных размеров винного цвета.

Среди фрагментов примечательны орнаментированные плиты с рельефными изображениями и надписью мтаврули. На одном таком фрагменте изображено "Бегство в Египет". Слева надпись мтаврули, в переводе гласит, "Арсена и родителей его помилует бог".

Украшение фасадов скульптурными композициями имеет в Грузии древнюю традицию. Они обычно украшали двери и окна.

Большая часть оставшихся фрагментов растаскана. В основном они были употреблены при строительстве столовой, в настоящее время разрушенной.

სოფ. კობეთი

# მიქელგაბრიელის ეკლესია

## XIXს; X-XIV სს. ფრაგმენტებით

ახლანდელი ნაგებობა წარმოადგენს დიდ დარბაზულ ეკლესიას. დასავლეთით მიდგმული აქვს კარიბჭე-სამრეკლო. ეკლესია შიგნიდან და გარედანაც გალესილია. აბსიდი შვერილია და მომრგვალებული. დარბაზის მთავარ ნაწილს ოთხფერდა გადახურვა აქვს, რომელსაც აბსიდის მსგავსად ცრუგუმბათი ადგას.

ალაგ-ალაგ ფასადებს ამშვენებს X-XIV სს. არქიტექტურული დეტალები, რომლებზეც ორნამენტული მოტივი და ჯვრებია გამოსახული. ერთ-ერთ მათგანზე ასომთავრული წარწერაა - "ჯუარი ქრისტეს".




*გეგმა. План*



*საერთო ხედი. Общий вид*

შეუძლებელია ძეგლის თავდაპირველი სახის აღდგენა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ იდგა X საუკუნის მნიშვნელოვანი ძეგლი.

## с.Кобети

## ЦЕРКОВЬ

### XIX- в. Фрагменты X-XIV вв.

Церковь возведена в позднее время. Она оштукатурена как снаружи, так и внутри. С запада к церкви пристроена колокольня. В стены церкви и колокольни вставлены орнаментированные фрагменты, относящиеся к различным периодом времени.

Навершие с крестом и двумя розетками, крест с надписью, "Крест Христов" принадлежит X в., другие розетки - более поздние, высечены в XIII-XIV вв.

Сегодня невозможно представить первоначальный облик здания. По дошедшим до нас фрагментам, можно предположить, что на данном месте в X веке стоял значительный памятник.

## სოფ. კობეთი, მიდამოები

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები




*მეორე სართულის გეგმა. План второго этажа*

ნაგებობა საგრძნობლადაა დაზიანებული. ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების ფრაგმენტები სამი სართულის დონეზეა შემორჩენილი. მეორე სართულის დასავლეთ კედელში გაჭრილია გარედან შეისრულთაღოვანი, შიგნიდან არქიტრავული შესასვლელი. კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით.



*ინტერიერის ფრაგმენტი. Фрагмент интерьера*

## с.Кобети, окрестности

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Памятник сильно повреждён. Частично уцелели фрагменты северной и западной стен на уровне третьего этажа. На втором этаже западной стены устроен вход. Арка двери стрельчатая, внутри архитравная. Возведена башня из рваного камня.



*საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.*
*Общий вид с востока*

# სოფ. კოდიბინა

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები



*ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.*
***Вид с юго-запада***

ფლეთილი ქვით ნაგები კოშკი შემორჩენილია ხუთი სართულის დონეზე. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე დანგრეულია. პირველი სართული ამოვსებულია მიწითა და ქვით. მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია თაღოვანი შესასვლელი, ხოლო ჩრდილოეთის კედელში არქიტრავული სათოფური.

# с.Кодибина

## БАШНЯ

### Позднее средневековье




*მეორე სართულის გეგმა.* ***План второго этажа***

Башня, возведеная из рваного камня, частично уцелела на высоте пятого этажа. Северо-западный угол обрушен.

Первый этаж засыпан землёй. На втором этаже восточной стены, прорезана арочная дверь. В северной стене сохранилась одна бойница.

სოფ. კროზა

# ნაეკლესიარი

გვიანი შუა საუკუნეები

ნაეკლესიარზე ყრია ფლეთილი და რიყის ქვა. წყობა არ ჩანს. აზომვა არ ხერხდება.

с.Кроза

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

**Позднее средневековье**

Развалины церкви сохранились в виде груды камней. Строительный материал - булыга. План проследить и обмерить невозможно.

სოფ. კროზა

# კოშკის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკიდან შემორჩენილია ერთი სართული. ძეგლი ნაგებია ფლეთილი ქვით. წყობა ქაოსურია.



*საერთო ხედი. Общий вид*




გეგმა. *План*

# с.Кроза

## РАЗВАЛИНЫ БАШНИ

### Позднее средновековье

От четырёхугольной башни уцелел лишь первый этаж. Строительный материал - рваный камень. Кладка стен хаотичная.

## სოფ. კროზა

# ეკლესიის ნანგრევი გიორგობა

### განვითარებული შუა საუკუნეები

სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 0,5 კმ-ზე არსებული დარბაზული ეკლესიიდან ნანგრევებილაა შემორჩენილი. ძეგლი ძირითადად ტუფის თლილი კვადრებითაა ნაგები. ქვის გროვაში გამოირჩევა ქვა ჯვრით და ქვა დიდი ფოსოთი, რომელიც შეიძლება ემბაზს ან კვარცხლბეკს წარმოადგენდა. აზომვა არ ხერხდება. ტერიტორია დაფარულია ხავსითა და მცენარეულობით.



საერთო ხედი. *Общий вид*

с.Кроза

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ ГИОРГОБА

### Развитое средневековье

На расстоянии приблизительно 0,5 км к юго-востоку от села стоят развалины церкви. Возведено было здание тесаными квадрами туфа.

Среди груды камней выделяются фрагмент с изображением креста и купель.

სოფ. ლეთი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

ფლეთილი ქვით ნაშენი კოშკი საგრძნობლად არის დაზიანებული. სამხრეთი კედელი მთლიანად დანგრეულია. დანარჩენი კედლები შემორჩენილია ხუთი სართულის დონეზე. პირველი სართული ქვითა და ღორღითაა ამოვსებული. მეორე სართულის დასავლეთ კედელში გაჭრილია შეისრულთაღოვანი შესასვლელი.



*ხედი დასავლეთიდან. Вид с запада*



*კედლის წყობის ფრაგმენტი. Фрагмент кладки стены*




*კოშკის გეგმა. План*

# с.Лети

# БАШНЯ

### Позднее средневековье

Башня, возведёная из рваного камня, сильно пострадала временем. Южная стена почти отсутствует. Уцелевшие стены сохранились на высоте пятого этажа.

Первый этаж засыпан землей и камнем. На втором этаже западной стены прорезана дверь со стрельчатой аркой.

## სოფ. მსხლები

# ციხე

### შუა საუკუნეები

ციხე მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ კოშკის ნანგრევი და გალავნის ნაშთი, რომელიც დიდი ზომის ფლეთილი ქვით ყოფილა ნაგები.



*კოშკის ნანგრევი. Развалины башни*



*გეგმა. План*

с.Мсхлеби

## РАЗВАЛИНЫ КРЕПОСТИ

### Средневековье

Крепость лежит в руинах. Уцелели лишь развалины башни и фрагменты ограды.

Возведён был памятник рваным камнем больших размеров

სოფ. მსხლები

## გუმბათიანი ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი წარმოადგენს ჯავის რაიონისთვის დამახასიათებელ გუმბათოვან ეკლესიას. ნაგებია შირიმით, ფლეთილი და რიყის ქვით, ასევე, ქართული აგურით. აბსიდი შვერილწახნაგოვანია. ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით მოკლე მკლავებში გაჭრილია თითო კარი. ეკლესიაზე სამი მხრიდან მიდგმული იყო კარიბჭე, რომელთაგან მხოლოდ დასავლეთისაა სრული სახით შემორჩენილი. მასზე, ქართული აგურით ნაშენი სამრეკლოა აღმართული. სამრეკლო ოთხფერდა თუნუქის სახურავითაა გადახურული. ეკლესიის გუ-



*სამრეკლო-კარიბჭე. ხედი დასავლეთიდან.*
*Колокольня, вид с запада*

მბათი ჩაქცეულია, ყელიც ნაწილობრივ დანგრეულია. მის რვაწახნაგში ოთხი სარკმელია. ინტერიერში შელესილობის კვალი მხოლოდ ფრაგმენტულად შემორჩა.

## с.Мсхлеби

## ЦЕРКОВЬ




*ეკლესიის გეგმა. План*

**Позднее средневековье**

Памятник возведён из рваного камня и булыги, а также квадрами ширими.

Здание является типичным для Джавского региона купольным сооружением. Церковь с трёх сторон имеет порталы,сохранилась лишь западная стена с колокольней. Эта часть церкви выстроена кирпичом. Абсида гранёная, выступающая с общего прямоу-



*ინტერიერი. გუმბათის ყელის ფრაგმენტი. Интерьер, фрагмент купола*



*ეკლესიის ინტერიერი. Интерьер церкви*

гольного плана. На восьмигранном барабане купола четыре оконных проёма. Купол частично повреждён.

Внутри церкви стены оштукатурены.

## სოფ. მსხლები

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

ხუთი სართულის დონეზე შემორჩენილი კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე მთლიანად დანგრეულია. მეორე სართულზე, აღმოსავლეთით, გაჭრილია თაღოვანი შესასვლელი. მეხუთე სართულზე, სამხრეთით, შვერილი სალოდეა შემორჩენილი.



*საერთო ხედი სამხრეთიდან. Общий вид с юга*



*აღმოსავლეთ ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент восточного фасада*

კოშკი ამოვსებულია მიწითა და ჩამონაშალი ქვით.

## с.Мсхлеби

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Башня возведенная из рваного камня уцелела на высоте пятого этажа. Северо-западный угол обрушен. На втором этаже восточной стены прорезана дверь. На пятом этаже устроено специальное отверстие, через которое можно было бросать камни во врагов, подступивших к стенам башни.



*კოშკის ინტერიერის ფრაგმენტი. Фрагмент интерьера*

## სოფ. მსხლები

# ნაეკლესიარი

### შუა საუკუნეები

ნაეკლესიარზე ნაყარი მიწისგან პატარა ბორცვია წარმოქმნილი. ჩანს მხოლოდ წყობის რამდენიმე ფლეთილი ქვა. აზომვა არ ხერხდება.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Мсхлеби

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Средневековье

На месте церкви образовался небольшой холм. Возможно проследить лишь несколько рваных каменей, вероятно, служившими строительным материалом.

План невазможно определить.

## სოფ. ნადარბაზევი

# ეკლესია

### X საუკუნე



*დეკორის ფრაგმენტი. Фрагмент декора*

ნაეკლესიარი მდებარეობს სოფლის სამხრეთ განაპირას. ძეგლის სამხრეთით შემორჩენილია მრავალი რელიეფური და ორნამენტული ქვა, აგრეთვე, დიდი ზომის



*სარკმლის სათაურის ქვა. Навершие окна*

ტუფის კვადრები. ქვის გროვის ქვეშ იკითხება სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმა.

შემორჩენილი ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ძეგლის პირვანდელი სახე. იგი დიდი ზომის, მდიდრულად მორთული ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რომელიც აშენებულია თლილი, ღვინისფერი ქვის კვადრებით. დეკორატიული მორთულობა გამოირჩევა ფორმათა მარტივი მოდელირებით და მასიურობით.

ეკლესიის კედლების გაფორმებისას გამოყენებულია ფერადოვანი ეფექტები, რაც კარგად ჩანს შემორჩენილი ორნამენტული ფრაგმენტებიდან და რელიეფებიდან.



*კარის ტიმპანის ფრაგმენტი. Фрагмент тимпана двери*



*პილასტრის იმპოსტი. Импост пилястры*

## с.Надарбазеви

## ЦЕРКОВЬ

**X в.**

Памятник расположен на южной окраине села. У церкви с южной стороны на земле лежат архитектурные детали, а также фрагменты орнаментированных и покрытых рельефами камней.

Над грудой камней и земли частично прослеживается план здания - трёхцерковной базилики.

Сохранились два тимпанных камня. На одном тимпане изображена Богоматерь с младенцем и два ангела, на другом- расцветший крест.

В Надарбазеви лежат на земле и другие фрагменты орнаментированных наличников окон и дверей, карнизов и рам.

Декоративный убор, памятника характеризуется массивностью и отсутствием сложной моделировки в его выполнении.

Сохранившийся материал указывает на то, что Надарбазеви было крупным, богато убранным сооружением, возведённым из тесаного камня, винного цвета.

## სოფ. ნადარბაზევი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით. აზომვა არ ხერხდება. გადარჩენილია მხოლოდ პირველი სართული.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Надарбазеви

# БАШНЯ

### Позднее средневековье

От башни уцелел только первый этаж. Четырёхугольное в плане здание было возведено из рваного камня. Возможности обмера памятника нет.

## სოფ. ნაზიგინა

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები




*გეგმის ფრაგმენტი. Фрагмент плана*

კოშკი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. ნაგებია ფლეთილი ქვით. წყობა შერეულია. სამხრეთ კედელში, მეორე სართულზე გაჭრილია თაღოვანი

კარი. დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები მთლიანადაა ჩაქცეული, აღმოსავლეთისა ნაწილობრივ.

### с.Назигина

## БАШНЯ

### Позднее средневековье

Рваным камнем возведенная башня частично уцелела до высоты второго этажа. Кладка стен смешанная. Дверь устроена в южной стене второго этажа. Западная и северная стены лежат в развалинах. Восточная стена - частично сохранилась.



*სამხრეთი ფასადი. Южный фасад*

### სოფ. პატარა გუფთა

## წმ. გიორგის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები

დიდი ზომის დარბაზული ეკლესია ნაგებია ფლეთილი, რიყის და ტუფის ქვით. სარკმლის ორსავე მხარეს, ღრმა აბსიდში, ნიშებია მო-

თავსებული. გრძელი დარბაზიდან აბსიდი მხრებით გამოიყოფა, რომელზეც სატრიუმფო თაღია გადაყვანილი. ეკლესიას სამი მხრიდან აქვს შესასვლელი. სამხრეთი კარისა და აღმოსავლეთი სარკმლის ღიობი ნაწილობრივ დაზიანებულია, სახურავი მთლიანად ჩამოქცეულია.

## с.Патара Губта

# ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ

### Развитое средневековье

Большая зальная церковь возведена из рваного камня, булыги и туфа.

Свод и конха церкви обрушены. С востока здание имеет абсиду с окном в центре. По обеим сторонам окна расположены ниши. Абсида от длинного зала выделяется заплечиками, на которые переведена триумфальная арка.

Церковь с трёх сторон имеет входы. Южный пролёт двери и восточное окно частично повреждены.



*ეკლესიის გეგმა. План*



*ჩრდილოეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент северного фасада*

## სოფ. პატარა გუფთა

# კოშკი

### შუა საუკუნეები

ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია კოშკის ნანგრევი, რომელიც ამაღლებულ ბორცვზე დგას. ნაგებია რიყის ქვით. კედლები მოპირკეთებულია ფლეთილი ქვით. აღმოსავლეთი კედელი ჩამოქცეულია. კოშკის სამხრეთით, პლატოზე შეინიშნება ნაგებობათა კვალი. ძეგლის აზომვა არ ხერხდება.

## с.Патара Гупта

## БАШНЯ

### Средневековье

На территории замка находятся развалины башни, стоящей на возвышанном месте. Стены башни облицованы рваным камнем. Восточная стена обрушена. К югу от башни, можно проследить фрагменты здания. Возможности обмера памятника нет.

## სოფ. როკათა

# კოშკის ფრაგმენტი

### გვიანი შუა საუკუნეები

შემორჩენილია მხოლოდ საძირკვლის ნაწილი. აზომვა არ ხერხდება.

## с.Роката

## ФРАГМЕНТ БАШНИ

### Позднее средневековье

От башни уцелел лишь фундамент. Обмер памятника не возможен.



*დასავლეთი ხედი.* ***Вид с запада***



*ინტერიერის ფრაგმენტი.* ***Фрагмент интерьера***




*მეორე სართულის გეგმა.* ***План второго этажа***

## სოფ. საგილზაზი

# კოშკი

### განვითარებული შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით. შემორჩენილია ექვსი სართული. გარედან მთლიანად გალესილი ყოფილა, შიგნიდან მხოლოდ მეორე სართული. კარი, ამავე სართულის აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი. ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია.

## с.Сагилзази

# БАШНЯ

### Развитое средневековье

Четырёхугольная башня возведена из рваного камня средней величины. Памятник уцелел до высоты шестого этажа. Снаружи башня была оштукатурена. Внутри штукатурка сохранилась лишь на втором этаже. В восточной стене этого же этажа прорезана дверь.

Большая часть северной и западной стен обвалилась.

## სოფ. საგილზაზი

# ნაეკლესიარი

### განვითარებული შუა საუკუნეები

